საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN1

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

18 იანვარი 2023 წ

**სხდომას უძღვებოდა:** იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:**

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6.იზა მაგრაქველიძე; 7. გიორგი ზარათაშვილი ; 8. რუსუდან კოვძირიძე;

**სხდომას არ ესწრებოდა:** ამირან ვერულაშვილი; ნატალია ასათიანი,დავით ცხადაძე;

**სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში გულადი აბჟანდაძე;**

**კომისიის სიითი შემადგენლობა:** 11 წევრი.
**კვორუმი:** 6 წევრი.
**დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა:** 8 წევრი.

*„კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად"*

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

4. ქ.თერჯოლაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში( ს/კ 33.09.45.046) გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

*დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.*

*კომისიის სხდომა უდღეგამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N 14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებისა და ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დაფინანსებით მომდევნო წლის 01 იანვრიდან ხორციელდება საჯარო დაწესებულებებში თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეების სახელფასო განაკვეთების 10%-იანი ზრდა. თანამდებობრივი სარგო ათასასი ლარიდან გაიზარდა ათასორას ლარამდე და მიესადაგა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამის N 4,2 და N 2 დანართებს.

აქედან გამომდინარე „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვარი N14 დადგენილებაში ცვლილების მიზანია, მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება შესაბამისობაში იყოს შრომის ანაზღაურების სისტემის ძირითად პრინციპებთან.

აღნიშნული ცვლილების განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი დაფინანსება განსაზღვრულია 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

**მუხლი 1.** საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა

თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აზრი გამოთქვეს: რუსუდან კოპზირიძემ, კ.კაცაძემ;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. დასამტკიცებლად წარედგინოს დადგენილების პროექტი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოები, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

3. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ზუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ" დადგენილების მიღების თაობაზე.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსული წერილი, სამართლებრივი დასკვნა(27/12/2022);
მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნულ დადგენილებაზე განხორციელდა სამართლებრივი ზედამხედველობა, რის შედეგადაც გამოვლინდა ხარვეზები, რომელიც საჭიროებს შესწორებას, კერძოდ:
განსახილველი №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართი სრულად არ შეესაბამება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს" (ტექსტში შემდეგ -„სასკ") და არ არის თანხვედრაში ამავე დადგენილების სარეზოლუციო ნაწილთან. კერძოდ, დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის რედაქციიდან გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრება ქალაქ თერჯოლის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლა/ყოფნა არა მხოლოდ პარკში/ბაღში და სკვერში, არამედ ცენტრალურ საავტომობილო გზაზე და მის მიმდებარე ტროტუარებზე, რისთვისაც პასუხისმგებლობა წესდება სასკ-ის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 151-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

ამავე დანართის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია,რომ ხარჯების ოდენობის განსაზღვრა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით უნდა მოხდეს ხარჯის გამწევი სუბიექტის მიერ, გონივრულობის ფარგლებში და რეალური დასაბუთებით.

ამავე მუხლის მე-6 პუნქტში დაშვებულია ტერმინოლოგიური უზუსტობა - სასკ-ით არ არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება, სამართალდარღვევისას დაადგინოს „მომსახურების საფასური".

ამავე დანართის მე-5 მუხლის შინაარსი სრულად არ შეესაბამება მის სახელწოდებას. კერძოდ, მუხლში არ არის განსაზღვრული ჯარიმის გასაჩივრების წესი, აღნიშნული კი აუცილებელია მკაფიოდ იქნეს რეგლამენტირებული.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა; რუსუდან კოპზირიძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:
მუხლი 1. ზემოაღნიშნული შენიშვნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს სამართლებრივი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 132-ე მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

მუხლი 2. დადგენილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას;

მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ზუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად და შესასწავლად დაეწერა მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის მანუჩარ რობაქიძის წერილი N 28-282301731, 17/01/2023 წ.) ).(ინიციატივა), რომლის თანახმად მერია გეგმავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის დადგმას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრები დაეთანხმა გადაწყვეტილებას;
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული ქ.თერჯოლაში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერში( ს/კ 33.09.45.046) გრიგოლ რობაქიძის ბიუსტის განთავსება;

მუხლი 2. კომისიის დასკვნა, საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტი შემდეგი რეაგირებისათვის წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე